გენ. გეგმა
სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის ჩვენებით



14. 915-ე ქვეთავის მოთხოვნები (სახანძრო სამაშველო მისადგომი გზები:)

915.4 სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის თავისუფალი სიგანე, სიმაღლე და მოხვევის რადიუსი. სახანძრო და საავარიო- სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის თავისუფალი სიგანე, სიმაღლე და მოხვევის რადიუსი შეესაბამება დასახლებებში ქუჩის დაგეგმარების მოთხოვნებს.

ჩვენ შემთხვევაში რადგან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს და არ აღემატება 30 მეტრს – გზა უნდა იყოდ სულ მცირე არანაკლებ 4.2 მეტრისა. - საპროექტო გზა შეადგენს მინიმუმ 6 მეტრს.

შენობა-ნაგებობას უნდა ემსახურება, სულ მცირე, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის ერთი მისასვლელი გზა, რომლის დაგეგმარება, აგება და გამოყენება შეესაბამება ქვეთავი 915.5-ს.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის ისეა დაგეგმარებული რომ, **(სახანძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზა შენობის მხარეს მდებარე გზის კიდიდან თარაზულად შენობის გარე მხარის უახლოეს ნაწილამდე დაცილებულია არანაკლებ 4.5 მეტრისა და არა უმეტეს 9 მე ტრის)** საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია სახანძრო ავტოკიბეების მექანიზმების სრული გაშლა ქვეთავი 915.6-ის შესაბამისად.

რადგან შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრზე მეტია და არ აღემატება 30 მეტრს, სახანძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზა შენობის მხარეს მდებარე გზის კიდიდან თარაზულად შენობის გარე მხარის უახლოეს ნაწილამდე დაცილებულია არანაკლებ 4.5 მეტრისა და არა უმეტეს 9 მეტრის მანძილით. (იხ. გენ. გეგმა) ქვეთავი 915.8-ის შესაბამისად.

915.10 შენობა-ნაგებობასთან სახანძრო ავტოკიბეებისათის მისასვლელი გზის მოწყობა. შენობა-ნაგებობასთან სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი გზის დაგეგმარება შეესაბამება 915.11 – 915.13 ქვეთავებს.

915.11 ერთი მხრიდან შენობა-ნაგებობის მთელ სიგრძეზე სახანძრო ავტოკიბ-ეებისათვის მისასვლელი და მისადგომი გზა. ერთი მხრიდან შენობა-ნაგებობის მთელ სიგრძეზე სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი და მისადგომი გზის მოწყობა შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

1. სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის/შენობებისთვის, რომელთა სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 30 მეტრს არ აღემატება, სულ მცირე, გზა უნდა მოეწყოს ერთი მხრიდან მთელ სიგრძეზე, გარდა ამ წესების ცხრილ 1021.2(1)-ით განსაზღვრულისა.

გადასარგავი ხე-ნარგავები: №4; №5 და №19
მოსაჭრელი ხე-ნარგავები: №3 და №6